141
7 04 2015

GRASS FACTCHECK

საქართველოს მთავრობის კანცელარიას

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

წ ე რ ი ლ ი

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37–ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე–40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- უელსის სამიტზე მიღებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დროულად და ეფექტიანად განხორციელებაში რა მიზნით და რომელი სახელმწიფო ინსიტუტებია ჩართული, ასევე რა სახის რეფორმების გატარება იგეგმება? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, რომელ სფეროებს ეხება რეფრომები);
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მიმართა თუ არა საქართველოს მთავრობას ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დროულად და ეფექტიანად განხორციელების შესახებ მთავრობის სხდომის ჩატარების მოთხოვნით? (გთხოვთ, შეგვატყობინოთ, კონკრეტულად როდის მოგმართათ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, რა სახით, და რას ითვალისწინებდა მოთხოვნა);
- რატომ არ დააკმაყოფილა საქართველოს მთავრობამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოთხოვნა? (გთხოვთ, შეგვატყობინოთ ის არგუმენტები, რის საფუძველზეც გადაწყდა პრეზიდენტის ზემო აღნიშნულ თხოვნაზე უარის თქმა);

პატივისცემით,

პაატა გაფრინდაშვილი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) ვიცე-დირექტორი

მისამართი:

თბილისი, მიცკევიჩის 27

საკონტაქტო პირი:

ლაშა სენაშვილი

მობ: 598 809 512 / ელ. ფოსტა: lashasenashvili@gmail.com